

**ულტრამემარჯვენე  
ექსტრემისტული ჯგუფების  
შეკრებებისა და  
მანიფესტაციების  
მონიტორინგის შედეგები**



ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების შეკრებებისა და მანიფესტაციების  
მონიტორინგის შედეგები

სარჩევი

შესავალი .....	3
მეთოდოლოგია.....	3
1. არსებული ვითარების მიმოხილვა .....	4
2. მონიტორინგის შედეგები .....	6
2.1. ახალგაზრდული ნაციონალისტური ორგანიზაციის დემონსტრაცია 25 თებერვალს 7	
2.2. ეთნიკურ ნიადაგზე ესკალაციის საფრთხეები მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში .....	7
2.3. ქართული მარშის ძალადობრივი დემონსტრაცია პრეზიდენტის სასახლესთან.....	8
2.4. გაგის ციხე-კოშკზე აღმართული ჯვრის (შესაძლო) ქურდობის ფაქტი.....	9
2.5. ესკალაციის საფრთხეები დმანისის მუნიციპალიტეტში .....	10
2.6. ნამახვანჭესის საწინააღმდეგო აქციების მონაწილეთა რადიკალიზაციის მცდელობები .....	10
2.7. ულტრამემარჯვენე რადიკალური ძალების წინასაარჩევნო გააქტიურება .....	12
3. სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება და შესაძლო შეუწყნარებლობის მოტივის უგულებელყოფა გამოძიების მიერ .....	13
რეკომენდაციები.....	15

## შესავალი

საქართველოში ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების მიერ ნაციონალისტური ნარატივისა და დეზინფორმაციის გავრცელება საფრთხეს უქმნის უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სოციალურ ინტეგრაციას და დესტაბილიზაციის რისკებს ატარებს. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე, რომლის პარალელურადაც რეგიონში საინფორმაციო ომი გაჩაღდა, შესამჩნევი გახდა საქართველოს საზღვრების გარედან მომდინარე ნარატივებით საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების რადიკალიზაციის მცდელობა. დეზინფორმაციის მთავარ გამავრცელებლად ხშირ შემთხვევაში ულტრამემარჯვენე, ულტრანაციონალისტური ჯგუფები გამოდიოდნენ.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების საქმიანობიდან გამომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით, ამ ჯგუფებზე დაკვირვება დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის განსაკუთრებული ინტერესის სფეროში რჩება. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი გასული წლის მიწურულიდან აკვირდება ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების აქტიურობას სოციალურ ქსელებში და აქციებსა და მანიფესტაციებზე.

ანგარიში მოიცავს ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებზე დაკვირვების შედეგებს 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის ივნისის ჩათვლით. ანგარიშში განალიზებულია ექვს შეკრებაზე დაკვირვების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები და გამოკვეთილია ძირითადი მიგნებები. ანგარიშის მიზანს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენცია, ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების მიერ წევრთა რეკრუტირებისათვის ხელის შეშლა და მათი გაძლიერებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენს.

## მეთოდოლოგია

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის დამკვირვებლები ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ თბილისის მასშტაბით ორგანიზებულ ყველა შეკრებას დააკვირდნენ. ჩვენი ინტერესის სფეროში ასევე მოხვდა მარნეულის მუნიციპალიტეტში გაგის ციხეზე აღმართული ჯვრის დაზიანებასთან დაკავშირებით გამართული შეკრებები. დაგეგმილი აქციების/კონტრაქციების შესახებ ინფორმაციას საჯარო წყაროებიდან ან სოციალური ქსელების საშუალებით ვიგებდით, რომელიც ულტრამემარჯვენე დაჯგუფებებისა და მათი ლიდერებისთვის ინფორმაციის გავრცელებისა და მხარდამჭერთა მობილიზაციისთვის ყველაზე მეტად გამოყენებად პლატფორმას წარმოადგენს.

დაკვირვების საწყის ეტაპზე შევიმუშავეთ შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა, რომლის დახმარებითაც აქციების/კონტრაქციების მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი ფაქტებისა და დარღვევების სისტემატიზაცია შევძელით. პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ანალიზის პროცესში შემდეგი მეთოდოლოგია გამოვიყენეთ:

1. **სიტუაციური ანალიზი**, რომელიც მოცემული კვლევის ფარგლებში გულისხმობს კონკრეტულ და მნიშვნელოვან მოვლენებზე დაყრდნობით, ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგს, ძირითადი ტენდენციების გამოვლენასა და ანალიზს.

2. **შედარებითი ანალიზი**, რაც მოცემული კვლევის ფარგლებში გულისხმობს საკანონმდებლო ნორმებისა და ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების მიერ ორგანიზებული მანიფესტაციების პრაქტიკული მხარეების ურთიერთ თავსებადობის დადგენას.

შეკრებების მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გავამახვილეთ:

- ხომ არ იყენებდნენ ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები ან შეკრების მონაწილეები სიძულვილის ენას
- რამდენად იცავდა პოლიცია საზოგადოებრივ წესრიგს საჯარო შეკრებებისა და დემონსტრაციების მიმდინარეობისას
- ხდებოდა თუ არა პოლიციის მითითებებისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტების გამოვლენა
- ხომ არ ქონდა ადგილი კონკრეტული პირების ან ჯგუფების მისამართით ძალადობრივ მოწოდებებს.

ასევე, გავანალიზეთ ულტრამემარჯვენე ჯგუფების საჯარო შეკრებებისა და მანიფესტაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან.

## 1. არსებული ვითარების მიმოხილვა

2020-2021 წლებში ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული იდეოლოგიის მიმდევარი ჯგუფები განსაკუთრებით გააქტიურდნენ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმიდან მომდინარე საფრთხემ ახალ, კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია.<sup>1</sup>

საფრთხეების გამომწვევი მიზეზი იყო, როგორც გლობალური პანდემია,<sup>2</sup> ასევე სახელმწიფოს მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკა, რამაც დაუსჯელობით წახალისებული რადიკალური იდეოლოგიის ჯგუფების გაძლიერება და მათი გააქტიურება გამოიწვია. აღნიშნულ საშიშროებაზე არაერთხელ განუცხადებია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს თავის ანგარიშებსა და განცხადებებში.<sup>3</sup>

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის ანგარიში, გვ. 29, ხელმისაწვდომია <https://parliament.ge/media/news/sakartvelos-sakhelmtsifo-usaftrtkhoebis-samsakhuris-2020-tslis-sakmianobis-angarishi> (ბოლოს ნანახია 20.05.2021).

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> DRI, კინოთეატრ „ამირანთან“ მიმდინარე აქციის მონიტორინგის შედეგები, ხელმისაწვდომია: <http://www.democracyresearch.org/geo/88> (ბოლოს ნანახია 20.05.2021).

მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის განახლებული შეიარაღებული დაპირისპირების ფონზე, ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების ნაწილი აზერბაიჯანის მაგალითზე ძლიერი ერთპიროვნული მმართველობის აღდგენას უჭერდა მხარს,<sup>4</sup> მეორე ნაწილი კი ხაზს უსვამდა მულტიეთნიკური (განსაკუთრებით კი სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლებული) ქვეყნის წინაშე მდგარ პოტენციურ საფრთხეებს.<sup>5</sup>

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფები ცდილობდნენ დაეძაბათ ურთიერთობა დმანისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან. ამ ჯგუფების წარმომადგენლები და მათი ლიდერები პირადად ჩადიოდნენ რეგიონებში, აწყობდნენ პროვოკაციებს, შემდეგ კი მოვლენებს ექსტრემისტული ნარატივების ჭრილში აშუქებდნენ.

ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფები საზოგადოებისათვის სენსიტიურ თემებზე მანიპულირებით მხარდამჭერთა მობილიზაციას ცდილობდნენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია მათი აქტიურობა ნამახვანის ჰესის პროექტთან დაკავშირებით. 2020 წლის თებერვალში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დადებითმა გადაწყვეტილებამ მდინარე რიონის ხეობაში, სოფელ ტვიშსა და სოფელ ჟონეთს შორის მასშტაბური ჰესების კასკადის პროექტზე, მოსახლეობის მასობრივი პროტესტი გამოიწვია.

საზოგადოებრივი პროტესტის ტალღის პარალელურად, ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფი „ქართული იდეა“ აქციის ორგანიზატორთა მხარდაჭერის მოპოვებას შეეცადა. „ქართული მარშმა“ და „ალტ ინფომ“ კი ნამახვანჰესის საწინააღმდეგო მოძრაობის ორგანიზატორებთან თანამშრომლობა მას შემდეგ შეწყვიტეს, რაც პროტესტის ერთ-ერთი ლიდერი ვარლამ გოლეტიანი თურქების განდევნასთან დაკავშირებით მოწოდებებს გაემიჯნა და განაცხადა, რომ ხელისუფლებამ რადიკალური ჯგუფები მოძრაობის დისკრედიტაციისთვის გააქტიურა.<sup>6</sup> თუმცა მას შემდეგ, რაც ლევან ვასაძემ პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის განზრახვა გააცნო საზოგადოებას, ალტ ინფომს ჯგუფმა ნამახვანჰესის წინააღმდეგ აქციების დამოუკიდებელად ჩატარება გადაიფიქრა და რიონის ხეობის მცველთა მიერ ორგანიზებულ დემონსტრაციებს შეუერთდა. ულტრამემარჯვენე ეთნონაციონალისტურმა მოძრაობა „ქართულმა მარშმა“ კი გამოაცხადა, რომ ისინი რიონის ხეობის მცველთა აქციას მხოლოდ ხეობის მცველთა „მოწოდების“ შემდეგ შეუერთდებოდნენ და „რადიკალურ“ მეთოდებსაც გამოიყენებდნენ.<sup>7</sup>

2021 წელს გაგრძელდა ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ნაციონალისტური რიტორიკით გამორჩეული პირების და ჯგუფების პოლიტიკაში ჩართვის ტენდენცია. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ანტილიბერალური და ანტიდასავლური

<sup>4</sup> ლევან ვასაძე, უტოპია როგორც გამოსავალი, ხელმისაწვდომია:

<https://www.youtube.com/watch?v=QBH58xx0Wa8&t=1145s> (ბოლოს ნანახია 20.05.2021).

<sup>5</sup> ულტრამემარჯვენე მედია გაერთიანება ალტ-ინფო მარნეულში, გაგის ციხეზე ჯვრის ხელმეორედ დაზიანებასა და დმანისში მომხდარი დაპირისპირების საფრთხეებზე იხ:

<https://www.youtube.com/watch?v=PAcQu-eEEIM> ასევე <https://www.youtube.com/watch?v=WMow-WJHFGA>

<sup>6</sup> „თავად გაააქტიურეს რადიკალური ჯგუფები“ | გოლეტიანის თქმით, ქსენოფობიურ აქციასთან კავშირი არ აქვთ, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/tavad-gaaqtiures-radikaluri-jgufebi-goletianis-tqmit-qsenofobiur-aqciastan-kavshiri-ar-aqvt/> (ბოლოს ნანახია 21.05.2021).

<sup>7</sup> <https://www.facebook.com/sandro.breg/posts/6343030449055764>

განწყობების მქონე „ქართულმა მარშმა“ და „ქართულმა იდეამ“ რომელთაც მეტ-ნაკლებად აქტიური წინასაარჩევნო კამპანია აწარმოეს.<sup>8</sup> 2021 წლის მაისში მილიონერმა ბიზნესმენმა და საქართველოში მსოფლიო საოჯახო კონგრესის წარმომადგენელმა ლევან ვასაძემ, რომელსაც არაერთხელ უარუყვია გავრცელებული ხმები პოლიტიკაში ჩართვასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთობა, რაობა, იმედი“ დაარსა და არჩევნებსა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მზადყოფნა დაადასტურა.

## 2. მონიტორინგის შედეგები

პროექტის განმავლობაში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მონიტორები ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების ექვს აქციას დააკვირდნენ. ყველა შეკრება ანტიმიგრანტულ, ჰომოფობიურ და ეთნონაციონალისტურ თემებთან დაკავშირებით გაიმართა. ყველაზე მცირერიცხოვანს, ახალგაზრდული ნაციონალისტური ორგანიზაციის „ქართული ნაციონალიზმის“ აქციას 10-მდე დემონსტრანტი დაესწრო, ხოლო ბიზნესმენ ლევან ვასაძის მიერ მოძრაობა „ერთობა, რაობა, იმედის“ დაფუძნებას 3 000-მდე ადამიანი ესწრებოდა და ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო.

შეკრების მონაწილეების ძირითადი მოთხოვნები იყო: გაგის ციხეზე აღმართული ჯვრის მოპარვისა და შემდგომი დაზიანების საქმის დროული გამოძიება, სახალხო დამცველის და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეჩერება, მდინარე რიონის ხეობაში, სოფელ ტვიშა და სოფელ ჟონეთს შორის მასშტაბური ჰესების პროექტის შეწყვეტა; ასევე, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის სრულად მოქცევა საქართველოს ფარგლებში.

შეკრებებს სოციალური ქსელებისა და მედიის სხვა საშუალებების გამოყენებით ძირითადად „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავჯდომარე გურამ ფალავანდიშვილი, ბიზნესმენი ლევან ვასაძე, ულტრანაციონალისტური დაჯგუფება „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე და ტელეკომპანია „ალტ-ინფო“ გეგმავდნენ. თითქმის ყველა შეკრებაზე, რომელსაც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები დააკვირდნენ, გამომსვლელები სიძულვილის ენის შემცველი მოწოდებებით გამოირჩეოდნენ. აღსანიშნავია, რომ რადიკალური ჯგუფების შეკრებები და დემონსტრაციები მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩეოდა, რის გამოც ისინი სხვა სოციალური თუ სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებულ შეკრებებზე ცდილობდნენ მხარდამჭერთა მობილიზებას.

---

<sup>8</sup> დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ (წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში და არჩევნების დღის შემდეგ, 2021, გვ. 21 ხელმისაწვდომია: <http://www.democracyresearch.org/geo/527> (ბოლოს ნანახია 21.05.2021).

## 2.1. ახალგაზრდული ნაციონალისტური ორგანიზაციის დემონსტრაცია 25 თებერვალს

2021 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან ასი წლის შემდეგ, ახალგაზრდულმა ნაციონალისტურმა ორგანიზაციამ „ქართული ნაციონალიზმი“ 1921 წლის 25 თებერვალს, კოჯორში, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპული იუნკერების ხსოვნის პატივსაცემად, დემონსტრაცია გამართა.

დემონსტრანტები მარჯანიშვილის მეტროსთან შეიკრიბნენ და იუნკერთა სახელობის N52 საჯარო სკოლასთან გადაინაცვლეს. დემონსტრაციას 10-15 ადამიანი ესწრებოდა, ძირითადად, ახალგაზრდა მამაკაცები. გამომსვლელთა განცხადებები მკვეთრად ანტირუსული და ეთნიკურ-ნაციონალისტური იყო.

ორგანიზატორებმა სიტყვით გამოსვლისას პოლიტიკოსები, განსაკუთრებით კი „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, საზოგადოების პოლარიზაციაში დაადანაშაულეს და მათი პოლიტიკური კარიერის დასრულების პირობა დადეს. ერთ-ერთმა მონაწილემ არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო უფლებების დამცველი მოძრაობების მიერ შექმნილ ე.წ. „ცრუ დიქტომიასაც“ გაუსვა ხაზი.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამკვირვებელი მომიტინგეებმა შენიშნეს და გააფრთხილეს, აღარასოდეს დაესწროს დემონსტრაციას, „ვინაიდან ებრაელია.“

მანიფესტაციას საქართველოს საპატრულო პოლიციის 10-მდე ოფიცერი არეგულირებდა. ღონისძიებაზე არ იყო დაცული კოვიდ 19-ის პრევენციისთვის დაწესებული რეგულაციები (პირბადეების გამოყენება და სოციალური დისტანცია).

## 2.2. ეთნიკურ ნიადაგზე ესკალაციის საფრთხეები მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში

2021 წელს ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების ანტიაზერბაიჯანული და ანტითურქული ნარატივები გამლიერდა.<sup>9</sup> მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთისა და აზერბაიჯანის დაპირისპირების, ასევე საპარლამენტო არჩევნების წინ დავით გარეჯის ტერიტორიასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების პარალელურად, გარკვეულწილად დაიძაბა სიტუაცია ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში და რეალური გახდა რელიგიური და ეთნიკური საკითხების ინსტრუმენტალიზების საფრთხე. არსებულ ვითარებაში ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფები და მათი მხარდამჭერები მაქსიმალურად ცდილობდნენ წაეხალისებინათ ესკალაცია მხარეებს

<sup>9</sup> დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფების შეკრებისა და მანიფესტაციის მონიტორინგი საქართველოში“, თბილისი, 2020, გვ.20, ხელმისაწვდომია: <http://www.democracyresearch.org/files/52far%20right%20geo%202.pdf> (ბოლოს ნანახია 25.05.2021).

შორის ან/და გაეზარდათ მხარდამჭერთა რიცხვი მოვლენების ექსტრემისტულ ჭრილში გაშუქებით.

### 2.3. ქართული მარშის ძალადობრივი დემონსტრაცია პრეზიდენტის სასახლესთან

2021 წლის 3 თებერვალს ულტრანაციონალისტურმა მემარჯვენე ორგანიზაციამ ქართულმა მარშმა საპროტესტო აქცია გამართა პრეზიდენტის სასახლესთან. დემონსტრაციის მიზეზად დასახელდა აზერბაიჯანის მიერ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მშენებლობა და აზერბაიჯანელი სამხედროების მიერ დავით გარეჯის იმ გამოქვაბულების დაკავება, სადაც ადრე ქართველი მღვდლები ცხოვრობდნენ.

დემონსტრაციას ესწრებოდა 100-150 ადამიანი, ძირითადად მამაკაცები. აქციის ზოგიერთი მონაწილე ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდა.

ქართული მარშის ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ თავის გამოსვლებში საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს არაკომპეტენტურობაში, მოღალატეობაში და საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ტერიტორიული დავის ინსპირირებაში დასდო ბრალი. სანდრო ბრეგაძემ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის შესაძლო საიდუმლო შეთანხმების გამო, ქართულმა მარშმა ვერ შეძლო კომპლექსის სრულად გამოკვლევა. მან ასევე გამოაცხადა 1 000 კაცის მობილიზაციის შესახებ, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ საქართველოს სასაზღვრო კონტროლის ძალებს და საჭიროების შემთხვევაში, ძალით შევიდოდნენ დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე.

განცხადების პარალელურად, ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გაბედავა და რამდენიმე მხარდამჭერი ცდილობდნენ ძალის გამოყენებით შესულიყვნენ პრეზიდენტის სასახლეში. აღნიშნულ ფაქტზე გიორგი გაბედავა პოლიციამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დააკავა, რაზეც დემონსტრანტებს უკიდურესად უარყოფითი რეაქცია ქონდათ. ისინი პოლიციის ავტომობილის შეჩერებას ძალის გამოყენებით ცდილობდნენ და სამართალდამცავებს მონებს ეძახდნენ. აღსანიშნავია, რომ ღონისძიების დასაწყისში შეკრებას 20-მდე პოლიციელი არეგულირებდა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა, როდესაც ქართული მარშის მომხრეებმა ძალის გამოყენებით საპრეზიდენტო სასახლეში შესვლა სცადეს. რაოდენობრივი სიმცირის გამო, პოლიციელებს გაუჭირდათ როგორც სასახლეში შეჭრის მცდელობაში მონაწილეთა შეკავება ასევე, სამართალდამრღვევების დაკავება.

აქციის ორგანიზატორებმა დემონსტრაციის დასაწყისში მომხრეებს სთხოვეს დაეცვათ კოვიდ 19-ის პრევენციისათვის დადგენილი წესები (გამოეყენებინათ პირბადეები და დაეცვათ სოციალური დისტანცია), თუმცა, ამ განცხადებას მხოლოდ რამდენიმე დემონსტრანტი დაემორჩილა.



## 2.4. გაგის ციხე-კომპოზე აღმართული ჯვრის (შესაძლო) ქურდობის ფაქტი

26 იანვარს ფეისბუქ გვერდებზე „ალილო მარნეულში“ და „marneuli hujabi“ გამოქვეყნდა განცხადება, რომლის მიხედვითაც, 27 იანვარს, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიაში „ბარბაროსულად“ მოპარული ჯვრის საზეიმოდ აღმართვა იგეგმებოდა ეპისკოპოსი გიორგი ჯამდელიანის კურთხევით.<sup>10</sup> ამ მოვლენას წინ უსწრებდა მიწის დამუშავების ნიადაგზე მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ქესალოში ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობასა და ადგილობრივ ეპარქიას შორის დაპირისპირება.<sup>11</sup> პოსტებს მაღალი ონლაინ ინტერაქცია მოჰყვა. კომენტარების ველში შესამჩნევი იყო მკვეთრად ანტიაზერბაიჯანული, ეთნონაციონალისტური, რელიგიური ექსტრემიზმის და მუქარის შემცველი გზავნილები.

მოვლენები ულტრამემარჯვენე და ულტრანაციონალისტური ჯგუფის „ალტ-ინფოს“ ონლაინ მედია პლატფორმაზე გაშუქდა. მარნეულში ჯვრის მოპარვასა და ხელახლა აღმართვას ულტრამემარჯვენე ჯგუფები „ქართული მარში“ და „ქართული იდეაც“ გამოეხმაურნენ. 28 იანვარს „ქართული იდეის“ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნდა ვიდეო გაგის ციხესიმაგრეიდან, მინაწერით „მოიპარეს ჯვარი ურჯულოებმა“.

„ქართული მარშის“ და „ქართული იდეის“ ლიდერები ირაკლი შიხიაშვილი და ლევან ჩაჩუა ჯვარის ხელმეორედ აღმართვისა და კურთხევის რიტუალს დაესწრნენ. ადგილობრივ აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან საუბრისას სიძულვილის ენის შემცველი მოწოდებებით გამოირჩეოდა მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის ეპისკოპოსი გიორგი ჯამდელიანი.<sup>12</sup>

ჯვრის ხელახლა აღმართვას დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მონიტორები დააკვირდნენ. ღონისძიებაში 150-200-მდე პირი, უმეტესად ახალგაზრდა ადგილობრივი, ეთნიკურად ქართველი მამაკაცები მონაწილეობდნენ. ღონისძიება ანტიაზერბაიჯანული გზავნილების ფონზე მიმდინარეობდა. დაახლოებით საღამოს 6 საათზე, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსმა გიორგი ჯამდელიანმა 15 ადამიანის დახმარებით გაგის ციხეზე ახალი ჯვარი აღმართა. აღნიშნულის შემდეგ, ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების ლიდერებმა მედია გამოსვლებსა და ინტერვიუებში, ახლოს მდებარე აზერბაიჯანული სოფლის მოსახლეობა ჯვრის მოპარვაში დაადანაშაულეს.

შეკრებაზე, კოვიდ 19-ის პრევენციისათვის დაწესებული რეგულაციები (პირბადეების გამოყენება და სოციალური დისტანცია) დაცული არ ყოფილა.

აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით ხაზგასასმელია სახელმწიფოს არაეფექტური პოლიტიკა. ინციდენტის აღკვეთასა და სამომავლო შემთხვევების პრევენციაზე გავლენა ვერ მოახდინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჯვრის მოპარვის ფაქტზე საქართველოს

<sup>10</sup> „ალილო მარნეულში“ 2021 წლის 27 იანვრის განცხადება, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/359561074407687/photos/a.493765680987225/1339603239736794/>

<sup>11</sup> „ბაბუაშენამდე ჩემი მამა-პაპა იყო აქ“ - მეუფე გიორგი ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებს, ხელმისაწვდომია: <https://tabula.ge/ge/news/661177-babuashenamde-chemi-mama-papa-iqo-ak-meupe-giorgi> (ბოლოს ნანახია 26.05.2021).

<sup>12</sup> იქვე.

სსკ-ის 177-ე მუხლით (ქურდობა) გამოძიების დაწყებამ.<sup>13</sup> 13 მაისს სოციალური ქსელებით გავრცელდა ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, რომ ახლად აღმართული ჯვრის ლითონის კონსტრუქცია დაზიანებულია.<sup>14</sup> იმის გათვალისწინებით, რომ როგორც დაზიანებული, ასევე, მოპარული ჯვარი ლითონის კონსტრუქციის და შესაბამისად, საკმაოდ მძიმეა, სავარაუდოდ, შეუძლებელი იქნებოდა მისი სპეციალური მოწყობილობების და პირთა ჯგუფის კოორდინირებული ქმედებების გარეშე დაზიანება ან/და ფარული გადატანა.

## 2.5. ესკალაციის საფრთხეები დმანისის მუნიციპალიტეტში

17 მაისს დმანისში დაწყებულ მასობრივ არეულობას ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფების გააქტიურება მოჰყვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც ქალაქში ყოფით ნიადაგზე მაღაზიაში დაწყებული კონფლიქტი ადგილობრივი მოსახლეობის ორი ჯგუფის დაპირისპირებაში გადაიზარდა.<sup>15</sup> ადგილობრივები ერთმანეთს ხელკეტებითა და ქვებით დაუპირისპირდნენ. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა სიტუაციის განსამუხტად და მხარეთა განსაცალკევებლად.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ ჩასული ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული დაჯგუფება „ქართული მარში“ ძირითადად ესკალაციის წახალისებით იყო დაკავებული<sup>16</sup>, ხოლო ულტრანაციონალისტური ჯგუფის „ალტ-ინფოს“ ონლაინ მედია პლატფორმამ მოვლენა ცალმხრივად, ეთნიკური დაპირისპირების ჭრილში გააშუქა.<sup>17</sup> ჯგუფის ლიდერებმა მიუთითეს, რომ „ეთნიკურად აზერბაიჯანელი მუსლიმი მოსახლეობა წარმოადგენს საფრთხეს ქვეყნის ერთიანობისათვის და აუცილებელია ანალოგიური ერთიანობა ქრისტიანმა, ქართველმა მოსახლეობამაც გამოიჩინოს.“

## 2.6. ნამახვანჰესის საწინააღმდეგო აქციების მონაწილეთა რადიკალიზაციის მცდელობები

ისევე, როგორც გასული წლების განმავლობაში, საანგარიშო პერიოდშიც ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფები ცდილობდნენ სენსიტიურ თემებზე მანიპულირებით გაეზარდათ საკუთარ მხარდამჭერთა რიგები. ამ კუთხით

<sup>13</sup> გაგის ციხიდან გამქრალ ჯვარზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო, ხელმისაწვდომია: <https://www.marneulifm.ge/ka/marneuli/article/39333-gagis-cikhidan-gamqral-jvarze-gamodzieba-qurdobis-mukhlith-daitsyo> (ბოლოს ნანახია: 25.05.2021).

<sup>14</sup> მარნეულში, გაგის ციხეზე ჯვარი დააზიანეს, რა ვიცი ამ ეტაპზე, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/542062/> (ბოლოს ნანახია (25.05.2021).

<sup>15</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 17 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/14630> (ბოლოს ნანახია 27.05.2021).

<sup>16</sup> იხ. <https://www.facebook.com/sandro.breg/videos/6271958912829585>

<sup>17</sup> იხ. <https://www.youtube.com/watch?v=QBfDSuyg9PA>

განსაკუთრებით აღსანიშნავია ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების საქმიანობა ნამახვანის ჰესის პროექტთან დაკავშირებით.

2020 წლის თებერვალში მდინარე რიონის ხეობაში, სოფელ ტვიშა და სოფელ ჟონეთს შორის მასშტაბური ჰესების მშენებლობაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს დადებითმა გადაწყვეტილებამ, წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი პროტესტი გამოიწვია. საპროტესტო ტალღას მალე შეუერთდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა, მხარდაჭერა გამოუცხადეს რიგმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სამოქალაქო მოძრაობებმა.

საზოგადოებრივი პროტესტის ტალღის პარალელურად, ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფი „ქართული იდეა“ პროტესტის ორგანიზატორთა მხარდაჭერის მოპოვებას შეეცადა. მეორე ნაწილმა კი („ქართული მარში“, „ალტ-ინფო“) ნამახვანჰესის საწინააღმდეგო მოძრაობის ორგანიზატორებთან თანამშრომლობა მას შემდეგ შეწყვიტა, რაც პროტესტის ერთ-ერთი ორგანიზატორი ვარლამ გოლეთიანი თურქების განდევნასთან დაკავშირებით მოწოდებებს გაემიჯნა და გაავრცელა განცხადება, რომ ხელისუფლებამ მოძრაობის დისკრედიტაციის მიზნით რადიკალური ჯგუფები გააქტიურა.<sup>18</sup>

არსებული საპროტესტო ფონის გამოყენებით თავის მხარდამჭერთა რიცხვის გასაზრდელად, ალტ-ინფოს ჯგუფმა ნამახვანის ჰესის აშენების დაუყოვნებელი შეჩერების მოთხოვნით აქციების დამოუკიდებლად ორგანიზება გადაწყვიტა. აქციებზე არც ძალის გამოყენებას გამორიცხავდნენ,<sup>19</sup> თუმცა მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში ახლად ჩართულმა ლევან ვასაძემ მხარდამჭერებს რიონის ხეობის მცველთა მიერ ორგანიზებულ აქციებში მონაწილეობისაკენ მოუწოდა, ტელეკომპანია ალტ-ინფოს გუნდი მოძრაობას ხელმეორედ შეუერთდა და დამოუკიდებლად დაგეგმილი აქციები გააუქმა.

რიონის ხეობის მცველების მიერ გამართულ აქციებში „ქართული იდეის“ ლიდერები გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილებიც მონაწილეობდნენ. 23 მაისს, მას შემდეგ, რაც ნამახვანჰესის საწინააღმდეგო მოძრაობამ თბილისში გადმოინაცვლა, ფალავანდიშვილები მუდმივად ესწრებოდნენ ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ გამართულ აქციებს. აქციაზე „ქართული იდეის“ წარმომადგენლებმა შეურაცხყოფა მიაყენეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ სამოქალაქო მოძრაობის და ლგბტ თემის წარმომადგენლებს. კერძოდ:

- 23 მაისს ნამახვანჰესის საწინააღმდეგოდ გამართული აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, ახალგაზრდა მამაკაცს ძალის გამოყენებით ჩამოგლიჯეს საყურე
- 23 მაისს ალექსანდრე ფალავანდიშვილმა ძალის გამოყენებით გაუნადგურა ქვიარ აქტივისტებს მოძრაობის მხარდამჭერი პლაკატი<sup>20</sup>

<sup>18</sup> „თავად გააქტიურეს რადიკალური ჯგუფები“ | გოლეთიანის თქმით, ქსენოფობიურ აქციასთან კავშირი არ აქვთ, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/tavad-gaaqtiures-radikaluri-jgufebi-goletianis-tqmit-qsenofobiur-aqciastan-kavshiri-ar-aqvt/> (ბოლოს ნანახია 21.05.2021).

<sup>19</sup> საპროტესტო აქცია ნამახვანჰესის წინააღმდეგ 9 მაისს, 14:00 საათზე, მთავრობის კანცელარიასთან, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=jYKKqsIoWYY&t=34s> (ბოლოს ნანახია 22.05.2021).

<sup>20</sup> ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა ნამახვანჰესის აქციაზე ლგბტ თემის წარმომადგენლებს პროტესტის გამოხატვის საშუალება არ მისცეს, ხელმისაწვდომია: <https://rustavi2.ge/ka/news/199778> (ბოლოს ნანახია 28.05.2021).

- 24 მაისს თავს დაესხნენ მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტებს და ძალადობის გამოყენებით სცადეს მათი აქციის ტერიტორიიდან გამეგება, იმის გამო, რომ ერთ-ერთი აქტივისტს ლგბტ თემის მხარდასაჭერი სამკლავური ეკეთა.<sup>21</sup>

აღნიშნულმა ინციდენტებმა ნამახვანჭესის საწინააღმდეგო მოძრაობისგან მხარდამჭერების ნაწილის დისტანცირება გამოიწვია. დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად და ერთობის შესანარჩუნებლად, აქციების ორგანიზატორებმა დაგმეს ძალადობა და მიიღეს გადაწყვეტილება აქციებზე მხოლოდ სახელმწიფოს სიმბოლიკის დაშვების თაობაზე.<sup>22</sup> მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მაკა სულაძე საჯაროდ დაუპირისპირდა გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილებს აქციის მონაწილეებისადმი აგრესიის გამოხატვისა და ჰომოფობიური გამოსვლების გამო.<sup>23</sup>

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ულტრამემარჯვენე ექსტრემისტმა ჯგუფებმა შეძლეს დისონანსის შეტანა ნამახვანჭესის საწინააღმდეგო მოძრაობის მხარდამჭერთა რიგებში. აქციაზე ჰომოფობიურმა ქმედებებმა სამოქალაქო საზოგადოებაში მოძრაობასთან დაკავშირებით კრიტიკული შეხედულებები გააჩინა.

## 2.7. ულტრამემარჯვენე რადიკალური ძალების წინასაარჩევნო გააქტიურება

2021 წელს ანტილიბერალური და ანტიდასავლური განწყობების მქონე ულტრამემარჯვენე, ექსტრემისტული ძალების პოლიტიკაში ჩართვის ტენდენცია გაგრძელდა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა მარშმა“ და „ქართულმა იდეამ“ მიიღეს მონაწილეობა, 2021 წლის მაისში კი ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ, საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთობა, რაობა, იმედი“ დააფუძნა და არჩევნებში და სხვა სახის პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთობა, რაობა, იმედის“ დაარსება 16 მაისს, 9 აპრილის ბაღში შედგა. შეკრებას 3 000-მდე ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის, ქალები და ბავშვები, რაც ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების შეკრებებისათვის დამახასიათებელი არაა. როგორც შეკრების ორგანიზატორებმა აღნიშნეს, მათი სურვილი იყო ღონისძიება ყოფილიყო ესთეტიური და არამძალდობრივი ხასიათის. მონაწილეთა გამოსვლები არ შეიცავდა ჰომოფობიურ მოწოდებებს. ლევან ვასაძემ თავის გამოსვლაში უარყოფითად შეაფასა საქართველოს ევროატლანტიკური კურსი და განაცხადა, რომ ნატოში გაწევრიანება საქართველოს სუვერენიტეტისათვის ზიანის მომტანი იქნებოდა და რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე ისაუბრა.

<sup>21</sup> აქციაზე აქტივისტებს ლგბტ სამკლავურის გამო ფალავანდიშვილი და მისი მომხრეები დაუპირისპირდნენ, ხელმისაწვდომია: <https://formulanews.ge/News/50858> (ბოლოს ნანახია 27.05.2021).

<sup>22</sup> ჩვენს აქციებზე დაშვებულია მხოლოდ სახელმწიფოს სიმბოლიკა - გოლეთიანი დაპირისპირებაზე, ხელმისაწვდომია: <https://mtavari.tv/news/44615-chvens-aktsiebze-dashvebulia-mkholid-sakhelmciptos> (ბოლოს ნანახია 27.05.2021)

<sup>23</sup> [https://fb.watch/5LK\\_NztGsI/](https://fb.watch/5LK_NztGsI/)

აქციაზე ლევან ვასაძემ საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს მოუწოდა, თანამდებობიდან გადამდგარიყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა და მხარდამჭერთა შეწყალების გამო; ასევე, მხარი დაუჭირა ნამახვანჭესის საწინააღმდეგო მოძრაობას. მისი თქმით, მასთან აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ მისულ თურქეთის რესპუბლიკის ელჩს განუცხადა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის არასასურველი ფორმით ჰესი არ აშენდებოდა. დასასრულს, ვასაძემ თავის მხარდამჭერებს ნამახვანჭესის საწინააღმდეგო მოძრაობის მიერ თბილისში ორგანიზებულ აქციაზე დასწრებისკენ მოუწოდა.

### 3. სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება და შესაძლო შეუწყნარებლობის მოტივის უგულვებელყოფა გამოძიების მიერ

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა სახელმწიფოს არასრულყოფილი და ნაკლოვანი პოლიტიკა მულტიეთნიკურ რეგიონებში.

ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, სათანადო ყურადღება არ დაეთმო გაგის ციხეზე, ქრისტიანული სიმბოლიკის ჯვრის მოპარვის და შემდგომ თავიდან აღმართული სიმბოლოს დაზიანების ფაქტებზე შესაძლო სიძულვილის მოტივის გამოძიებას. ნაცვლად ამისა, შსს-მ აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით (ქურდობა) დაიწყო, ხოლო ხელმეორედ აღმართული ჯვრის დაზიანებაზე - საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლით (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება).

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როგორც გამოძიების დაწყების, ასევე გამოძიების პროცესში არ გაითვალისწინა, რომ საქმეში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის არაერთი ინდიკატორი არსებობდა, კერძოდ:

- ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, ჯვრის მოპარვა ან დაზიანება რელიგიური/ეთნიკური მოტივით
- მოსახლეობის აღქმა - ინცინდენტის ადგილზე დასახლებულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ფაქტი აღიქვა სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულად
- დანაშაულის დროსა და ადგილთან დაკავშირებული გარემოებები - (ჯვრის ქურდობის და დაზიანების) ორივე შემთხვევა მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულების (27 იანვარს წმინდა ნინოს სახელობის დღესასწაულისა და შემდგომ - ყურბან ბაირამის) პერიოდში მოხდა
- დანაშაულის ობიექტთან დაკავშირებული გარემოებები - ორივე ქმედება ჩადენილ იქნა ისტორიულ ციხე-სიმაგრეზე აღმართული რელიგიური მნიშვნელობის მქონე სიმბოლიკის წინააღმდეგ
- სხვა მოტივის არარსებობა - ვინაიდან ჯვარი საკმაოდ მძიმე, ლითონის კონსტრუქციის იყო და სავარაუდოდ, შეუძლებელი იქნებოდა სპეციალური მოწყობილობების და პირთა ჯგუფის კოორდინირებული ქმედებების გარეშე მისი დაზიანება ან/და ფარული გადატანა, სათუთა ქონებრივი სარგებლის მიღებაც მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების შედეგად.

სახელმწიფო ვალდებულია ეფექტურად და სწრაფად გამოიძიოს შეუწყნარებლობით (სიძულვილით) მოტივირებული დანაშაულები, როდესაც გარემოებები გონივრულად მიუთითებს ასეთი მოტივის არსებობაზე. ამავდროულად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ან აღნიშნულით სპეკულაცია ულტრაკონსერვატიული ჯგუფების, სასულიერო პირებისა და სხვა სამოქალაქო ჯგუფების მიერ) მიმართულია კონკრეტულ პირთა ჯგუფის წინააღმდეგ, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის სოციალურ ერთიანობასა და ინტეგრაციას, ხელს აძლევს სხვადასხვა ჯგუფების დაპირისპირებას და საპასუხო თავდასხმების პროვოცირებას.<sup>24</sup>

ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოვლენისა და აღკვეთისათვის შეუწყნარებლობის (სიძულვილის) მოტივის იდენტიფიცირებას გამოძიების ადრეულ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს მნიშვნელოვანი მტკიცებულების დაკარგვისა და გამოძიების წარუმატებლად დასრულების საფრთხე.<sup>25</sup>

იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც წინ უძღვოდა ჯვრის ქურდობას, სახელმწიფოს პასიური როლი შემამფოთებელია. ხელისუფლების სათანადო რეაგირების გარეშე, ექსტრემისტული ნარატივებისა და რადიკალიზაციის გავრცელება აღრმავებს ადგილობრივ თემებს შორის დაპირისპირებას და ესკალაციის სერიოზულ საფრთხეს ქმნის. პრობლემების მიზანმიმართული უგულვებელყოფით წარმოქმნილ საფრთხეებზე დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა დმანისის მუნიციპალიტეტში განვითარებულ მოვლენებამდეც არაერთხელ გააკეთა განცხადება.<sup>26</sup>

ამავდროულად, არანაკლებ საგანგაშოა რადიკალური ექსტრემისტული ჯგუფების მიერ აღნიშნული თემით მანიპულირება. დმანისის მოვლენებთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2021 წლის 17 მაისის განცხადებაში ფაქტობრივად დაადასტურა დაინტერესებული მხარეების არსებობა, რომლებიც დაწყებული საყოფაცხოვრებო კონფლიქტის ეთნიკურ დაპირისპირებაში ხელოვნურად გადაზრდას ცდილობდნენ.<sup>27</sup> აღნიშნულის მიუხედავად, ამ ჯგუფების მიმართ სახელმწიფოს სათანადო რეაგირება არ მოუხდენია.

სახელმწიფოს მიერ პრობლემის უგულვებელყოფით ძლიერდება და უფრო დამაჯერებელი ხდება რადიკალიზაციის წამახალისებელი, დისკრიმინაციული, ისლამოფობიური, შოვინისტური და ექსტრემისტული ნარატივები. შესაბამისად, აუცილებელია ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული მედიისა და ჯგუფების მოწოდებებზე სახელმწიფოს ქონდეს ადეკვატური რეაგირება, რათა თავიდან ავიცილოთ რადიკალიზაცია და ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება.

---

<sup>24</sup> OSCE/ ODIHR, Prosecuting Hate Crimes, a Practical Guide, 2014, P.16.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>26</sup> DRI მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიაში ჯვრის სავარაუდო ქურდობის ფაქტზე გავრცელებულ ინფორმაციას ეხმიანება, ხელმისაწვდომია: <http://www.democracyresearch.org/geo/504> (ბოლოს ნანახია (27.05.2021).

<sup>27</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 17 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/14630> (ბოლოს ნანახია 27.05.2021).

## რეკომენდაციები

შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას:

- შეუწყნარებლობით (სიძულვილით) მოტივირებული დანაშაულების გამოვლენა და გამოძიება წარმართოს შემჭიდროვებულ ვადებში
- უარი ითქვას ძალადობრივი ჯგუფების მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებაზე, სათანადო ყურადღება დაეთმოს აღნიშნული დაჯგუფების მიერ სიტუაციის ესკალაციისა და დესტაბილიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედებების შესწავლასა და აღკვეთას
- საქმის გამოძიებისას, შესაბამისი ინდიკატორების გამოვლენისთანავე მოხდეს შეუწყნარებლობის (სიძულვილის) მოტივის ასახვა, რათა სახელმწიფოს მიერ გატარებულმა პოლიტიკამ უზრუნველყოს დამაბულობის აღმოფხვრა, სიტუაციის დეესკალაცია და რადიკალური ნარატივების გავრცელების პრევენცია ადგილობრივ მოსახლეობაში.